ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტი, თსუ მუზეუმი,
თსუ ბიბლიოთეკა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute of
Ethnology-Anthropology, TSU Museum, TSU Library

# ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲐ

## ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

# TRADITIONAL GEORGIAN AGRICULTURE AND MODERNITY

## EXHIBITION AND SCIENTIFIC CONFERENCE

ეძღვნება ქართული ეთნოლოგია-ანროპოლოგიის დღეს

Dedicated to the Day of Georgian Ethnology-Anthropology

## ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

## PROGRAM

15-16 აპრილი/April, 2024

თბილისი/Tbilisi

15 აპრილი/April

11:00 Ketevan Khutsishvili – Georgia Homeland of Wheat and Wine: Continuous Tradition of Cultivation and Ritual

ქეთევან ხუციშვილი – საქართველო ხორბლისა და ღვინის სამშობლო: კულტივირებისა და რიტუალის განგრძობითი ტრადიცია

მისამართი: ი. ჭავჭავაძის 1, თსუ I კორპუსი, II სართული, სააქტო დარბაზის ფოიე
Address: I. Chavchavadze Ave. 1, TSU 1buildng, 2 Floor, Foyer of the Event Hall

12:00 გამოფენის გახსნა: “ტრადიციული ქართული სამიწათმოქმედო კულტურა”
Opening of the Exhibition: “Traditional Georgian Agriculture”

მისამართი: ი. ჭავჭავაძის 1, თსუ I კორპუსი, II სართული, მუზეუმი
Address: I. Chavchavadze Ave. 1, TSU 1buildng, 2 Floor, Museum

16 აპრილი/April

სამეცნიერო კონფერენცია „ტრადიციული ქართული სამიწათმოქმედო კულტურა და თანამედროვეობა“

Scientific Conference: “Georgian Traditional Agriculture and Modernity”

მისამართი: ი. ჭავჭავაძის 1, თსუ I კორპუსი, I სართული, აუდ. 115
Address: I. Chavchavadze Ave. 1, TSU 1buildng, 1 Floor, Room 115

12:00 პირველი სექცია (სხდომის თავმჯდომარე რ. გუჯეჯიანი)
First Session (Moderator R. Gujejiani)

ლია ახალაძე – ქართველთა ეროვნულ – კულტურული იდენტობის მახასიათებელი (ხორბალი წერილობით კულტურაში).

Lia Akhaladze – Marker of Georgian National-cultural Identity (Wheat in Written Sources)

როზეტა გუჯეჯიანი – ხორბალი და პური თანამედროვე ქართულ ტრადიციულ სარიტუალო პრაქტიკაში

Rozeta Gujejiani – Wheat and Bread in Contemporary Georgian Traditional Ritual Practice

თეიმურაზ გვიმრაძე – ერთი აგრარული დღეობის შესახებ კახეთში

Teimuraz Gvimradze – About One Agrarian Festival in Kakheti

ნოდარ შოშიტაშვილი – ქართული ენდემური ხორბლის გავრცელების არეალი თანამედროვე საქართველოში

Nodar Shoshitashvili – The Area of Spreading of Georgian Endemic Wheat in Contemporary Georgia

შესვენება: ყავა, ჩაი

Coffee break

14:00 მეორე სექცია (სხდომის თავმჯდომარე ქ. ხუციშვილი)

Second Session (Moderator K. Khutsishvili)

სალომე ხმიადაშვილი – იუნესკოსთვის წარდგენილი ბარათის თაობაზე და შემდგომ პროცედურებზე – საინფორმაციო მოხსენება

Salome Khmiadashvili – On the Representative List for UNESCO and the Further Proceedings – Informational Paper

დისკუსია თემაზე:

ქართული ხორბლის, მის მოყვანასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სულიერი და სოციალური კულტურის ცნობადობის გაზრდა.

Discussion on the topic:

Increasing the Popularity of Spiritual and Social Culture Connected to Georgian Wheat, its Cultivation and Usage.

გამოფენა: „მიწათმოქმედების ტრადიციული კულტურა საქართველოში“

თსუ 2024 წლის 15-23 აპრილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მუზეუმის საგამოფენო დარბზში ეწყობა თსუ-ის მუზეუმისა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ერთობლივი გამოფენა: „მიწათმოქმედების ტრადიციული კულტურა საქართველოში“. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გამოიფინება: XVI-XVIII საუკუნით დათარიღებული ძველი საბუთები და ეტრატები, ფოტოები და ხელნაწერები, მემორიალური ნივთები და მარცვლეულის უნიკალური ჯიშები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, ასევე ამ საკითხისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები და წიგნები.

ჩვენ შევეცადეთ კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა დამსწრე საზოგადოებისთვის ის მაშტაბური და, ამავე დროს, ფრიად მნიშვნელოვანი საქმეები, რომელიც აკეთეს ჩვენმა მამულიშვილებმა, როგორც ხორბლის ასევე სხვა მარცვლეული ქართული ჯიშების გადასარჩენად და დასაცავად. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი ექსპონატები მოგვითხრობენ მარცვლეულის კულტურის – რიტუალებისა და გამოყენების იმ უწყვეტი ტრადიციების შესახებ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა საქართველოში. აღნიშნული ეტრატები, ფოტოები, ხელნაწერები, წიგნები, მემორიალური ნივთები, მარცვლეულის უნიკალური ჯიშები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა დაცულია: საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში, საქართველოს ეროვნულ არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღსა და საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტში. გვინდა, მადლობა გადავუხადოთ დასახელებულ ორგანიზაციებს იმ უდიდესი დახმარებისა და გულისხმიერებისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს გამოფენის მომზადების პროცესში.

ექსპონატები განლაგებულია თემატურად, საექსპოზიციო გეგმის მიხედვით.

გამოფენის ექსპოზიცია და მეგზური გამოსაცემად მოამზადეს და შეადგინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორმა, მანანა ლილუაშვილმა, თსუ-ს შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური სამკითხველო დარბაზის გამგემ, ხათუნა ჩუგოშვილმა და უფროსმა ბიბლიოთეკარმა, თეა კაშიამ.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის
საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ექსპოზიცია:**

1. სიგელი ანდრონიკე მეფისა წითლოსან ქუენაფნაველ ლარგველის შვილისადმი. მოიხსენიებენ ხორბლის მკრეფელები. სიგელი, დედანი *(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).*

2. სიგელი ალექსანდრე მეფისა ავთანდილ ზედგინიძისადმი, პურის მკრებელი. სიგელი, დედანი *(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).*

3. სამთავისის გუჯარი. 1459-1673 წწ. (პური) იხსენიება 100-ჯერ *(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).*

4. წყალობის სიგელი კონსტანტინე მეფისა ზაქარია ჯავახიშვილისადმი (რიგის პური და კალოს კაბიწი). 1466 წელი, დედანი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).

5. სასისხლო სიგელი ბაგრატ მეფისა მამისთუალ ზთაელისძისადმი. პურის ამკრებნი *(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).*

6. მამულის შეწირულების წიგნი ვამიყ შაბურისძისა ბოდორნის ეკლესიისადმი. (წელიწადსა შიგა კომ(ლ)სა ზ(ედ)ა სამ-სამსა კაბიწსა პურსა ყალნად, და რიგის პურად ერთი კაბიწი პური...). 1494 წლის 24 ივნისი,დედანი *(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).*

7. ნასყიდობის წიგნი ანდრეა დეკანოზისა დემეთია წითლისძისადმი. 1413 წლის 12 მაისი,დედანი *(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი).*

8. შეწირულების წიგნი თაყა ამილახორისა (...კიდევე შემოგწირავს ჯეჯიკურული გუთნისთავი – პური კაბიწი) შიო მღვიმისადმი: „ცხრა, ნახევარი იფქლი და ნახევარი ქერი სამკუიდროდ მეფეთაგან ჩუენთუის ნაბოძვარი იყო და იმა პურსა ისივე **ჯ ე ჯ ი კ უ რ ე ლ ნ ი** მათითა ულაყებითა მღუიმეს მიიტანდენ. ამისთუის რომე, დანიმიდას ძღუენ ედვა და ყუალა ჩაგუიშუია. და იგი პურიცა ჩუენსა მწირველსა მიებარებოდეს“ . 1523 წელი, დედანი *(საქართველოს ეროვნული არქივი)*

9. ბრძანება სვიმონ მეფისა სვეტიცხოვლის ყმების სამეფო გამოსაღებთაგან გათავისუფლების შესახებ. 1583 წლის 7 დეკემბერი, დედანი *(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი)*

10. ყმა-მამულის წყალობის წიგნი – კონსტანტინე II-ის აღბუღა ფანიაშვილისადმი. დედანი; ეტრატი; დამწერი მცხეთის ქადაგი მახარებელი; ხელრთვა მეფე კონსტანტინესი; საბუთის „თხრობის“ ნაწილში მოხსენიებულია წისქვილი. 1491 წელი, დედანი *(საქართველოს ეროვნული არქივი).*

11. ერეკლე II-ის წერილი დარბაზ ბატონი რევაზ ამილახორისადმი, გორის მამასახლისის ხელით ხელთუბანში გალეწილი პურის ტივებით ქალაქში გაგზავნის თაობაზე. 1765 წლის 17 ნოემბერი, დედანი *(საქართველოს ეროვნული არქივი).*

12. ყმის შეწირულების წიგნი – რაჭის ერისთავი ანტონის ბარის ეკლესიისადმი. დამწერი მღვდელი დავით ელბაქიძე. საბუთის „თხრობის“ ნაწილში მოხსენიებულია პური და „ხაბაზობა“. 1810 წლის 29 ივლისი, დედანი *(საქართველოს ეროვნული არქივი).*

13. ბატონიშვლ იულონის ბარათი გორის მამასახლისისადმი, სახაბაზოსთვის მარილის მიცემის თაობაზე. 1788 წლის 18 ოქტომბერი, დედანი *(საქართველოს ეროვნული არქივი).*

14. ბატონიშვილი იულონის ბარათი გორის მამასახლისისადმი, გარეჯელებისთვის ფქვილისა და ქერის მიცემის თაობაზე. 1788 წლის 25 აგვისტო. ხელნაწერი, დედანი *(საქართველოს ეროვნული არქივი).*

15. გიორგი ზუბინაშვილის ხელწერილი სახაბაზოში ბატონიშვილი იულონის მიერ გამოგზავნილი ფქვილის მიღების თაობაზე. 1789 წლის 10 სექტემბერი, დედანი *(საქართველოს ეროვნული არქივი).*

16. სოფელ ვარხოვნის წყალობის წიგნი – სვიმონ I-ის ასლამაზ არეშიშვილისადმი. დამწერი ზილყიყარ რევიშვილი. საბუთის „თხრობის“ ნაწილში მოხსენიებულია წისქვილი. ორენოვანი. ხელრთვა სვიმონ I-ის. 1583 წელი. დედანი *(საქართველოს ეროვნული არქივი).*

17. სოფელ საბუეში მცხოვრები ყმების წყალობის წიგნი – ბატონიშვილი თეიმურაზის (მეფე ლეონის ძე) ბოდბელი მაქსიმესადმი. „თხრობის“ ნაწილში ნახსენებია წისქვილი; ხელრთვა „თეიმურაზ“. 1568 წელი. დედანი *(საქართველოს ეროვნული არქივი).*

18. ოქმი – ერეკლე II-ის დარბაზ ბატონი ნაზირი დიმიტრისადმი, გორსა და ცხინვალში ცხენების გაგზავნისა და ქარხნისთვის ფქვილის ჩატანის თაობაზე. 1762 წლის 29 დეკემბერი. დედანი *(საქართველოს ეროვნული არქივი).*

19. XIX ს. კარაბადინი.

    „ასრე რომენ მუცელმანაღარა ისაქმოს რა მერმე აჭამე ქერის კორკოტი და მუკაშარი ... აჭამე პური ჩაუფშვენ...“ გვ.14

    „კაცს საცა წყლული ამოუვიდეს კანზედა და ან ხორცმეტი, მოიღე ლოშტაგი და სენი მაჯი და ესე სწორად დანაყე და გაურიე დიკის ცოტა ფქვილი და დასდევ ზედან როცა წყლული იყოს და და ან ხორცმეტი, უშველის...“; გვ.15 ხელნაწერი, დედანი *(საქართველოს ეროვნული არქივი).*

20. XVIII ს. კარაბადინი.

„ჭრილის წამალი: მოიტანე ძაღლის ენის ძირი და ძირწითელის ძირი ნედლი დანაყე და თეთრი ფქვილი, კვერცხის გული და კარაქი...“, გვ.37

21. „კარი პურების ხასიათისა – ხვარბალი გრილი და ნედლი და კეთილი არის . არც მწვედ გრილი და არც მხურვალი, გამტკიცული ერთად დანაყე, რომ მაჭუნად შეიქმნები ერთის კაკალის ოდენა ჭამოს, სისხლის ყვანას უშველის მუცელში...“*(საქართველოს ეროვნული არქივი).*

22. სამეფო კარის ხაბაზობის წყალობის წიგნი იმერეთის მეფე დავით II-ის ხუჯაძეებისადმი. პირი, გადაწერილი ს. კაკაბაძის მიერ XX-ის დასაწყისში.1784 წ. 17 ივლისი *(საქართველოს ეროვნული არქივი).*

23. საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ვალერინა მენაბდის სახელზე გაცემული საავტორო მოწმობები, ხორბლის ახალი ჯიშის გამოყვანის თაობაზე. 1948 წელი *(საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტი).*

24. პეტრე ჟუკოვსკის ღია ბარათი ლეონარდ დეკაპრელევიჩს, ხელნაწერი, დედანი *(საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტი).*

25. ვარლამ თოფურია – სამეურნეო ტერმინები: პურეულის, ურმის, წისქვილის, თონისა და აბრეშუმის ჭიის შესახებ. ხელნაწერი, დედანი *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი).*

26. პეტრე ჟუკოვსკის პირადი წერილი ლეონარდ დეკაპრელევიჩს *(საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტი).*

27. **ივანე ჯავახიშვილი** (1876-1940) — ქართველი ისტორიკოსი და საზოგადომოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი, საქართველოსა და კავკასიი სისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ფოტო.

28. **გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაია** (1890-1986)— ქართველი ეთნოლოგი, ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ფოტო.

29. **ნელი ბრეგაძე** (1932-2012) – ეთნოლოგი, ისტორიკოსი, პედაგოგი. ფოტო.

30. **გიორგი ჯალაბაძე** (1922-1998) – ისტორიკოსი, ეთნოლოგი, პედაგოგი. ფოტო.

31. **ვლადიმერ მენაბდე** (1896-1981)- ქართველი გენეტიკოს-სელექციონერი, კულტურული ფლორის მკვლევარი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ფოტო.

32. **ნიკოლოზ ვავილოვი** — მეცნიერ-ბოტანიკოსი, გენეტიკოსი, გეოგრაფი და აგრონომი, საბჭოთა ბოტანიკის მცენარეთ მცოდნეთა სკოლის ფუძემდებელი. ფოტო.

33. **მეცნიერ – ბოტანიკოსები** : ნასყიდაშვილი და ნიკოლოზ დეკაპრელევიჩი. ფოტო.

34. **ლეონიდ დეკაპრელევიჩი** (1886-1981) – მეცნიერ-ბოტანიკოსი, სელექციონერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპოდენტი. ფოტო.

35. **ჯულიეტა რუხაძე** (1921-2012) – ისტორიკოსი, ეთნოლოგი, პედაგოგი. ფოტო.

36. **ნიკო კეცხოველი** (1897-1982) – ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურიატი. ფოტო.

37. **დოლის პური** - (თეთრი დოლი ). გამოყვანილია საქართველოს სახელმწიფოს სასელექციო სადგურში, გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში, ადგილობრივი პოპულაციიდან გამორჩევის გზით. ფოტო.

38. **დიკა ჯავახეთური** -ადგილობრივი ჯიში, ქართლიკუმისა და რბილი ხორბლის ნარევი. ფოტო.

39. **ვარძია -**გამოყვანილია საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტში ქიმიური მუტაგენეზით. ფოტო.

40. **მახა** -საქართველოს ენდემური სახეობა. გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმის მთიან ზონაში. ამჟამად ეს სახეობა დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გენბანკში.ფოტო.

41. **ზანდური –** კილიანი ხორბლის უძველესი ენდემია. წარმოშობის კერაა რაჭა-ლეჩხუმი. დაცულია კოლექციებში, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ძვირფასი სასელექციო მასალა.ფოტო.

42. **ჩელტა ზანდური –** ვიწრო ლოკალიზებული საქართველოს ენდემური სახეობაა. გავრცელების არეალი იყო რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოსა და იმერეთში, ზღვის დონიდან 400-800მ სიმაღლეზე. ფოტო.

43. **კოლხური ასლი** - საქართველოს რაჭა-ლეჩხუმის ხორბლისენდემური სახეობაა. კოლხური ასლი მონომორფული სახეობაა და მხოლოდ ორი სახე სხვაობითაა წარმოდგენილი. ამჟამად საქართველოში ეს სახეობა დაცულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გენბანკში.ფოტო.

44. **ღომი-**მე-17 საუკუნემდე, საქართველოში სიმინდის კულტურის შემოსვლამდე, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, ქართველები იკვებებოდნენ ღომით (Setaria italica); ღომისგან ამზადებდნენ სქელფაფას-ღომის ღომს. სიმინდის კულტურის შემოსვლის შემდეგ, სიმინდი ასრულებს ღომის სუროგატის როლს. სიმინდის ღერღილისაგან ამზადებენ ღომს; ფქვილისაგან აცხობენ მჭადს *(საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტი).*

45. **ფეტვი-** სიმინდის შემოსვლამდე საქართველოშიფეტვის ფქვილისაგან აცხობდნენ მჭადებს; ამჟამად ფეტვი და ღომი გადაშენების საფრთხის წინაშეა. ძირითადად დაცულია სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში, თესლისა და ცოცხალი კოლექციების სახით.*(საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტი).*

46. **შნაკვი** – *( საქართველოს ბოტანიკის ინსტიტუტი).*

47. **ფეტვი** – *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

48. **ღომი-** *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

49. **ყანის მკა.** *ფოტო* ***(საქართველოს ეროვნული არქივი).***

50. **ხორბლის აღება.** *ფოტო (საქართველოს ეროვნული არქივი).*

51. **ხორბლის განიავება.** *ფოტო (საქართველოს ეროვნული არქივი).*

52. **კევრი – დოლაბი** – *წისქვილის ქვა, ეთნოგრაფიული მასალა (საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

53. **კალო,** ავჭალა, ფოტო *(საქართველოს ეროვნული არქივი).*

54. **საწყაო** – მარცვლეულის შესანახი სხვადასხვა ზომის ჭურჭელი. ეთნოგრაფიული *მასალა (საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

55. **ნიჩაბი –** მარცვლეულის დასაცეხვი.ეთნოგრაფიული მასალა *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

56. **ნიჩაბი** – ხორბლის სანიავებელი. ეთნოგრაფიული მასალა *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

57. **ხის ფოცხი –** ეთნოგრაფიული მასალა *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

58. **ცხრილი-**ხორბლის გასაცრელ. ეთნოგრაფიული მასალა *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

59. **გობი –** პურის მოსაზელი. ეთნოგრაფიული მასალა *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

60. **ნამგალი** – მოსავლის ასაღები. ეთნოგრაფიული მასალა *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

61. **აივნის დეკორი** ორნამენტებით. ეთნოგრაფიული მასალა *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

62. **ხორბლის ჯიშების** ნიმუშები. ფოტო *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

63. პურის ჩაკვრა თონეში. ფოტო. *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

64. ხორბლის მზადება ჩასაბარებლად. *ფოტო.(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

65. ხორბლის ცეხვა. ფოტო.*(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

66. ბაზარი, პურის დახლი. ფოტო.*(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

67. **ვალერინა მენაბდის პირადი ბარათი** *(საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).*

68. **თოხი, იარაღი, ძვალი, გახვრეტილი.** ენეოლითი *(თბილისის სახელმწიფო  უნივერსიტეტის მუზეუმი).*

69. **ძვლის იარაღი, ჩაქუჩი/რიტუშორი.** ენეოლითი *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი).*

70. **წერაქვი, ძვალი. მიწის დასამუშავებელი იარაღი.** ენეოლითი *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი).*

71. **ქვა, თოხი, გახვრეტილი სახელურისთვის.** ენეოლითი *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი).*

72. **სანაყი, ფილთაქვა. ოვალური ფორმის ბაზალტი.** ენეოლითი *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი).*

73. **ხელსაფქვავის ზედა ქვა,** ოვალური ფორმის, ჩაღრმავებული სამუშაო ზედაპირი. ენეოლითი *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი).*

74. **ხელსაფქვავის ზედა ქვა,** ოვალური ფორმის, გატეხილი, ბრტყელი სამუშაო ზედაპირი. ენეოლითი *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი)*

75. **ხელსაფქვავის ზედა ქვა,** ფორებიანი ბაზალტი. გატეხილი, ორხელიანი. ბრტყელი სამუშაო ზედაპირი. ენეოლითი *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი).*

76. **გრაკლიანი გორის ნამოსახლარი, წისქვილი.** ძვ.წ. V-IV საუკუნე *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი).*

77. **გრაკლიანი გორის ნამოსახლარი, მელითონეობის ღვთაებისადმი მიძღვნილი სამლოცველო**. ჩრდილოეთ კედელთან გამართული ხელსაფქვავები. ძვ.წ. IV საუკუნე *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი).*

78. **გრაკლიანი გორის ნამოსახლარი, III ტერასა. სამლოცველო.** ძვ.წ. V-IV საუკუნე *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი).*

79. **თიხის ჯამი** – მარცვლეულის ამოსაღები ძვ.წ. V-IV საუკუნე *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი).*

80. **სანოვაგის და სითხის შესანახი ჭურჭელი.** სოფელი საჩხერე. ძველი წელთა III ათასწლეულის ბოლო (*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი)*

81. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V, თბ.: მეცნიერება, 1986.

82. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ . IV, თბ: თბილისის უნ-ტის გამ-ბა, 1996.

83. ჯალაბაძე ჯ., მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ.: მეცნიერება, 1986.

84. კახაძე ო., პურეულის ლექსიკა ქართულში, თბ.: მეცნიერება, 1986.

85. მაცნე N4, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ.: მეცნიერება, 1974.

86. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXI, თბ.: მეცნიერება, 1981.

87. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XVIII, თბ.: მეცნიერება, 1975.

88. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XIX, თბ.: მეცნიერება, 1978.

89. ხაზარაძე მ., ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, თბ.: მეცნიერება, 1988.

90. სამადაშვილი ც., ხორბლის კულტურა საქართველოში. მოვლა-მოყვანა. პრაქტიკული რეკომენდაციები გავრცელების ზონების მიხედვით, თბ., 2021.

91. ბრეგვაძე ნ., საქართველო – მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბ.: სამშობლო, 2004.

92. ეტიმოლოგიური ძიებანი XII, თბ., 2015.

93. ხორბლის თესლის ტექნოლოგიის ჯიშობრივი შეფასება. ხორბლის თესლის წარმოების, ხარისხის კონტროლისა და გავრცელების სახელმძღვანელო, თბ., 2019.

94. ხორბლის მშრალად წამლობის სამუშაოებზე თავდაცვის წესდება.

95. გორგილაძე რ., კერძთაყვანისცემა. კულინარული მოგზაურობა დროსა და სივრცეში, თბ.: სეზანი, 2012.

96. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი. მასალები, თბ.: მეცნიერება, 1980.

97. გუგუშვილი პ., მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამ-ბა, 1954.

98. საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1964.

99. საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები კრებული, თბ.: მეცნიერება, 1970.

100. ჯალაბაძე გ., მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამ-ბა, 1963.

101. მაცნე 3 (36) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, თბ.: მეცნიერება, 1967.

102. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ.: სეზანი, 2017.

103. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები,მემინდვრეობა, თბ.: მეცნიერება, 1985.

104. მამალაძე თ., შრომის სიმღერები კახეთში, თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამ-ბა, 1962.

105. მიმომხილველი, ტ. II, თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამ-ბა, 1951.

106. ბრეგაძე ნ., მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში (მემინდვრეობა რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ.: მეცნიერება, 1969.

107. რუხაძე ჯ. და სხვ., სოფელი აკურა, თბ.: მეცნიერება, 1964.
108. მაისაია ი., ჩვენი ეროვნული საუნჯე, საქართველოს პარკოსანი კულტურები, თბ.: მერიდიანი, 2013.
109. პური ჩვენი არსობისა: საქართველო ჩვენი ფასეულობები: სოფლის მეურნეობა, თბ.: პალიტრა L, 2016.
110. აკად ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე V-VI, თბ.: სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის გამ-ბა, 1940.
111. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის VII, თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1955.
112. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXIII, თბ.: მეცნიერება, 1987.
113. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის IX, თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1957.
114. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XII-XIII, თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1963.
115. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XX, თბ.: მეცნიერება, 1979.
116. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XIX, თბ.: მეცნიერება, 1978.
117. საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ.: მეცნიერება, 1968.
118. აგრარული საქართველო N1(124), იანვარი, სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი, თბ.: მეცნიერება, 2023.
119. ძეგლის მეგობარი 34, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1974.
120. ძეგლის მეგობარი 42, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1976.
121. ქევხიშვილი ვ., ხორბალი (აგროტექნიკა), თბ.: ახალი საქართველო, 2001.
122. მაისაია ი., ღომის კულტურა საქართველოში, თბ., 1987.
123. რუხაძე ჯ., ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ.: მეცნიერება, 1976.
124. რუსიშვილი ნ. და სხვ., ხორბალ დიკას გავრცელება საქართველოში, თბ.: ლივინ ქოლორი, 2010.
125. მაისაია ი., ჭანიშვილი ი., სორგო, თბ.: მეცნიერება, 2004.

126. ჯალაბაძე გ., მემინდვრეობის კულტურა დასავლეთ საქართველო-
ში, თბ.: მეცნიერება, 1990.

127. მაცნე 2 (17), თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1964.

128. მაცნე 3 (36), თბ.: მეცნიერება, 1967.

129. კეცხოველი ნ., თოვლიან მთებში, თბ.: ნაკადული, 1967.

130. მირზაშვილი ვ., დენდროლოგია, ნაწილი პირველი, შიშველთე-
სლიანები, თბ.: სტალინის სახ. თბ. სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1947.

131. მირზაშვილი ვ., დენდროლოგია, ნაწილი მეორე, ფარულთესლია-
ნები, თბ.: სტალინის სახ. თბ. სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1948.

132. კეცხოველი ნ., საქართველოს აგროგეობოტანიკური რუკა (ფერადი
რუკით), თბ.: მეცნიერება, 1972.

უნივერსიტეტის
გამომცემლობა